საქართველო

კვირა
1 ნოემბერი.

წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გადასდ ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ადგილ-ადგილ მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დებეგდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 212 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 212

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედ,
ორივ ტკბილია ძმობიდო, მირჩევნის ორსავ თვალზედ,
როგორც უცალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედ.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, პირველ ნოემბერს, გარდაცვალებიდან ექვსი თვის თავზე, პეტრე-პავლეს ეკლესიაში, დიდის 11 საათზე დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ახ. მიხეილ (მიზარბეგის) თომას ძის ჩიკვაიძის

სულის მოსახსენებლათ. რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მწუხარებით გულმოკლული მეუღლე მისი ფატმან ხურაბ ღოლობერიძის ასული ჩიკვაიძისა, შვილებით.

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ბესარიონ ვასილის ძე გვახარია, შვილები: ნინო ოკუჯავასი, თამარი, ნიკოლოზი და გიორგი ბესარიონის ასული და ძენი გვახარიები, სიძე ნიკოლოზ სტეფანეს ძე ოკუჯავა, მაზლები: დავითი და პავლე ვასილის ძენი გვახარიები მეუღლეებითა და შვილებით, ძმა ალექსანდრე სპირიდონის ძე გაბუნია და და ადალო გეგეჭკორისა, ძმის შვილი იოსებ დიმიტრის ძე გაბუნია გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს გადაცვალებას

ზესნა (იგივე ესმას) სპირიდონ გაბუნიას ასულის

გვახარიასი.

დაკრძალვა მოხდება კვირას, 1 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. გამოსვენება ცხედრისა გოშპიტლის ქუჩაზე საკუთარ სახლიდან. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 ს. 4—4—5013

მწუხარე პირისუფალნი: კარპეზ სიმონის ძე კორძაია, ნინუცა ქაჯაიას ასული კორძაიასი, ტრიფონ კორძაია, გოგუცა ცხვედიანისა, ელენე ასათიანისა, ამბაკო ცხვედიანი და ერმილე ასათიანი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი და მეორე დაუვიწყარის ქალიშვილისას, მესამე, მეოთხე და მეხუთე ძვირფასის დისას, დანარჩენნი ცოლის დისას მესამე კლასის მოწაფის

თამარა (მარგალიტა) კორძაიასას,

რომლის გამოსვენების დღე დანიშნულია 2-ს ნოემბერს, დღით ორშაბათს, ნაშუადღევის ოთხის ნახევარ საათზე, პადგორნი ქუჩიდან, წიქორაძისა და ამხ. სახლიდან, საიდანაც მიცვალებულს გამოასვენებენ ქუთაისის რკინის გზის სადგურზედ, საიდანაც მეორე დღის დილის ხუთის ნახევარზე წაასვენებენ ს. საჭილაოში, საგვარეულო სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველდღე ნაშუადღევის 5 საათზე. 1—1

ასლან და მანუჩარ წირღვავები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებასა პირველი საყვარლის მეუღლისა და მეორე ძვირფასის რძლის

ელენესას,

რომლის გამოსვენება დაინიშნულია 1 ნოემბერს, დღით კვირას, დილის 9 საათზე ს. ნოსირში. წირვა და პანაშვიდი ყოველ დღე.

1915 წ.
ნოემბერი
1.
კვირა

„ქართული დრამა“ № 16
ქალაქის თეატრი.
დანიშნულია წარმოსადგენათ საღამოს 8 საათზე
ცნობილი ისტორიული პიესა

ღალატი.

5. მოქ
ავტორი ა. სუმბათაშვილი—მთარგმნელი გ. ყიფშიძე.
ადგილების ფასები ჩვეულებრივი.
რეჟისორი შალვა დადიანი.
ადმინისტრაცია „ქართული დრამის“ ამხ.-სა.
2--1

ანონსი:
მზადდება:
რამიშვილის „სალომეს ოჯახი“
ვ. გუნიას „და—ძმა“ მეიერის „მემკვიდრე პრინცი“.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ორშაბათიდან, 2 ნოემბრიდან სეზონის სენსაცია.

მოცეკვავე მავი ტავერნისა.

სენსაციური დრამა 6 ნაწ. იტალიური გამოჩენილი მსახიობ ქალის ფრანჩესკი ბერტინის მონაწილ. 1 ნაწ. შავებთა კლუბი, 2—შეცდენა, 3—პლანის გაგება, 4—ახალი ცხოვრება, 5—სასტიკი ბედი, 6—სამაგიეროს გადახდა.

ბოკსი კომიკური რუსულათ

საყოველთაოთ ვაცნობებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან,

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყოვნებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით სიმონის ძე ღოლოგერიძე.

დღეს, 1 ნოემბერს, ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში,

დილის ათ საათზე, დანიშნულია ქუთ. შომხმარებელი საზოგადოების

„კოოპერაციის“ გამგეობის

და საუბნო კომისიის წევრების შეერთებული კრება. სთხოვენ ყველას აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას, გვნაიდან ეს კრება უკანასკნელია მომავალ საზოგადო კრებამდის. ყუფ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერგებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ს. ფორთაქიფანიძის სახლი. თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტროლისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბეგია მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება შშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თეოდორაძისა, ფიდიბოვის მაღაზიის პირდაპირ.

სუშალო სასწავლებლის უნტრის კლასებისთვის, უმაღლეს დასწეულს 4 კლასიან სასწავლებლის ეველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარაკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

მასაჟით სამ. კურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუსრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ მარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გვენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძისსახლი. თ

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძე ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

ექიმი ი. ჩარქოლავი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირას გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

კბილის ექიმი

ბ. ბზელაძე—ბალიცკისა

ღებულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 საათ., საღამოთი 4—5 საათამდი.
მისამართი: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 30 ოკტომბერი. ოფიციალური. დასავლეთის ფრონტი. შლომის რაიონში ჩვენმა ჯარმა ბრძოლით წინ წაიწია რაგანცევიდან დასავლეთით. თერთმეტი დღის განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ, რომელიც ხდებოდა ჭაობიან ადგილებში, სადაც ჯარის კაცები სარტყლამდი წყალში იდგენ, ავიღეთ კამპერინი და ანტინგი. გერმანელებმა აქ დიდი ხარალი ნახეს და დასავლეთით უკან დაიხიეს. ტყვეთ წამოვიყვანეთ გერმანელები და ტყვეის მფრქვეველები. ბარზემონდესთან სასტიკი ბრძოლა გრძელდება, სადაც ერთი დღის განმავლობაში ჩვენ 10 გაშმაგებული იერიში მოვიგერიეთ და მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ. ჩვენი თხრილების წინ დახოცილ გერმანელების აურაცხელი გვამი ყრია. ერთ ბრძოლაში ამ დღეს რიგის ფრონტზე ლატიშელების ახალგაზდათა ჯგუფი, რომელიც მხარ და მხარ მოქმედებდა ჩვენ ჯართან ერთად, ადგილმდებარეობის მძიმე პირობებში, უაღრეს სიმამაცეს იჩენდა. დვინსკის რაიონში სოფელ პრისტანისა და ილუკსტის ახლოს, ჩვენმა ნაწილებმა წინ წაიწიეს. სოფელ კოსტიუხნოვკის რაიონში, რაფალოვკის დასავლეთით უსასტიკესი ბრძოლა გძელდება. ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 270 კაცამდი ტყვე.

კავკასიის ფრონტი.

ზღვის ნაპირა და ტარტუმის რაიონში მდებარე სოფლებში მოწინავე რაზმთა შორის შეტაკებაა. ურმიის ტბის დასავლეთ და სამხრეთ ნაპირებზე სოფელ ქალაზენი—ბენგერ-შატანოვსა და შახტეპოსთან შეტაკებაა ქურთთა ბრბოსთან, რომელიც ყველგან გაფანტულ იქნა.

ომის ამბები.

სტოკჰოლმის გაზეთს „აფტონბლადეტის დეპეშით ატყობინებენ: ბულგარეთსა და საბერძნეთს შორის შეთანხმება მოხდა, რომლის ძალითაც ბულგარეთი თავისუფლათ გაგზავნის ჯარს ალბანეთისაკენ, რომ შეიჭრეს ადრიატიკის ზღვაში და დაიკავოს დურაცოს ნავსადგური. ამის სამაგიეროთ საბერძნეთი მიიღებს მთელს სამხრეთ ალბანეთს.

გერმანეთის პრესა და საბერძნეთის სამინისტროს კრიზისი.

როგორც „ლოკალ-ანცეიგერი“ იტყობინება, ზიმისის კაბინეტის დაცემას გულგრილათ შეხვდენ, როგორც გერმანეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო, ისე საბერ-

ძნეთის მისია ბერლინში. ბერლინის მართველი წრეები არავითარ პესიმისტურ მოლოდინს არ უკავშირებენ საბერძნეთის სამინისტროს კრიზისს, რადგანაც დარწმუნებული არიან, რომ მეფე კოსტანტინე არაფრის გულისთვის არ დაეთანხმება და თუ საჭიროებამ მოითხოვა, პარლამენტის დათხოვასაც არ მოერიდება.

——

ბერლინის ოფიციოზური გაზეთი თუმცა აღნიშნავს, რომ მობილიზაციისაგან გამოწვეული საბერძნეთის საქმეების გართულება პრაკტიკულათ დიდ დაბრკოლებას იძლევა ახალი არჩევნების მოსახდენათ. გაზეთი არ უფარავს თავის მკითხველებს, რომ ვენიზელოს დიდი გავლენა აქვს მხარეში და ამიტომ მთელ ძალლონეს იხმარს დაუმორჩილოს მეფე თავის მოთხოვნებს. მეფე კონსტანტინემ სერიოზული ანგარიში უნდა გაუწიოს ამ გარემობას.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ბერლინის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს მეფე კოსტანტინეს როლს და სთვლის მას საიმედო მფარველათ გერმანეთის პოლიტიკის განსახორციელებლათ ბალკანეთში. პრესა ურჩევს მეფე კოსტანტინეს ისარგებლოს თავისი უფლებით და დაითხოვოს პალატა.

განსაკუთრებით შორს მიდის თავისი მეგობრული რჩევებით გაზეთი „დეიტშ ტაგეცეიტუნგი.“

მობილიზაცია, პირიქით, ხელს უწყობს არჩევნების მოხდენას, სწერს პანგერმანული ორგანო,—რადგანაც მეფე კოსტანტინეს, სამხედრო წესების წყალობით, შეუძლია თავისი საკუთარი პოლიტიკა განახორციელოს.

კონცენტრაციის წინააღმდეგ.

სოფიიდან ცნობაა—სოც. დემოკრატთა კრებაზე გამოიტანეს რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვენ, რომ კონტინგენტები შეჯგუფული არ იყვენ ერთ პუნქტზე.

ბულგარეთის დახმარება.

ბულგარეთის ოფიციალი საგენტო ცნობით, საბერძნეთის დელეგატებმა ბულგარეთის სასურათო კომიტეტთან შეთანხმება მოახდინეს, რომლის ძალითაც ბულგარეთმა საბერძნეთს უნდა დაუთმოს მცხოვრებლების საჭიროებისათვის 1000 ვაგონი ხორბალი პურისა. ამის გამო საგენტოს მოყავს განმარტებანი ოფიციოზური „ეხო დე-ბულგარიეს“-ი რომელიც მომხდარ შეთანხმებაში ხედავს საუკეთესო ნიშანს ბულგარეთ-საბერძნეთ შორის მეგობრული განწყობილების აღდგენისას.

რადოსლავოვის ოფიციოზი იმედს გამოსთქვამს, რომ ორივე სახელმწიფოს ერი დაივიწყებს წარსულ უთანხმოებას და

გრიშიკო მწერალი.

(მოთხრობა).

III.

(დასასრული იხ. „სამშობლო“ № 211)

— მე რომ თქვენ სახლში მოვედი, თავს დიდათ ბედნიერათ ვთვლიდი; თქვენ ისეთი ადამიანები ხართ, ორივე დები, რომ თქვენს ახლოს ყოფნით მინდა გავძღე, დღე და ღამე თქვენს კალთაში მედგას თავი,—ეუბნებოდა თვისს ცოლის დას „გამოსუქინებული“ გრიშიკო მწერალი,—ჩემს თავს თქვენ შემოგავლებთ, თქვენს მეტზე არავიზე ვიფიქრებ, „თქვენის გულისთვის ცეცხლში ჩავდგები, ოღონდ თქვენ გაამოთ და ხელის გულზე ტაფა-მწვარს შეგიწვავ; ყველა, ყველა, მაგრამ მარტო შენს შავს ფვალებს, წამწამებს, მარმარილოს კბილებს, სარის ტანს და კოწახურივით წითელ ტუჩებს ნეტავი როგორ უნდა გაუძლოს ადამიანმა, რომ შენის შეხედვით გული არ აუტოკდეს და ცეცხლის ალმური არ შემოედვას გარს,—თავისებურათ ჩაულაპარაკა ერთ დღეს ელენკოს გრიშიკო მწერალმა.

— ეგ ნამეტანია, ჩემო გრიშიკო; შენ თუ შეყვარები ისე, როგორც სიძე, როგორც ჩემი საყვარელი უფროსი დის ქმარი და სხვანაირი სიყვარულიდან კი ღმერთმა დაგვიფაროს,—უპასუხა ელენკომ და წამოწითლდა.

— ჩემს ცოლს,—შენს დას კი არა,—მთელს ქვეყანას განაცვალებ, თავს შემოგევლოს ყველა, ჭირი შომჭამოს სიყვარული რა ყოფილა; შენი და სიყვარულით შევირთე ცოლად, მაგრამ შენ, რომ დაგიახლოვდი, მერე, სწორეთ გითხრა, ის სიყვარული განელდა და შენმა თვალებმა

ძმური მჭიდრო კავშირით შეეკვრიან ერთმანეთსაო.

ბრატიანოს გადადგომის მოთხოვნა

ცნობილი პუბლიცისტი და პოლიტიკი კოსტანტინე მილლე გაზეთ „ილევერულ“-ში მოთავსებულ წერილში, სათაურით: რა უნდა ბრატიანოს? ამბობს:

— რა პოზიცია უკავია პრემიერ მინისტრს, ბრატიანოს? გერმანელებთან ერთად მოქმედება მას არ შეუძლია, რადგანაც 1914 წლ. ოკტომბერში ცნობილ კონვენციას რუსეთთან ხელი მოაწერა. აპრილში მან გამართა მოლაპარაკება სამთა შეთანხმებასთან ბუკოვინისა და ბანატის შესახებ. დაბოლოს საჭირო ფული მან მიიღო ლონდონში. არ შეუძლია გერმანელების სასარგებლოთ გამოვიდეს ის სახელმწიფო, რომელმაც მობილიზაცია მოახდინა ავსტრო-უნგრეთის საწინააღმდეგოთ, რომლის საზღვარზედაც გაკეთებულია სანგრები საუკუნოებით მოძულე მტერთან საბრძოლათ.

გაზეთი „ჟურნალის“ აზრით შეუძლებელია საბერძნეთი ოთხთაშეთანხმების სახელმწიფოებს მიემხროსო. სხვა გაზეთები უფრო იმედოვნებენ. ყოველ შემთხვევაში დადგა ის ჟამი, როცა საბერძნეთმა უცილებლად ესა თუ ის გადაწყვეტილება უნდა მიიღოსო.

თუ ვინიცობა, საბერძნეთი ოთხთა შეთანხმების წინააღმდეგ წავიდა, მაშინ სალონიკში გადაყვანილი ჯარი დიდ საფრთხეში ჩავარდება. ხოლო თუ საბერძნეთში პარლამენტი დაითხოვს და მთავრობა დასცეს წიინააღმდეგ ხალხის სურვილისა ერვეს რჩევით—პასეიაში ინგლისის ფლოტი უნდა გაიგვავნოს და საბერძნეთს შეიარაღებული წინააღმდეგობა უნდა გაეწიოსო.

——

ბუქარესტი. პეტროგრადის საგენტომ სამზღვარ გარეთ შემდეგი დეპეშები დაგზავნა: „ვოლეფის საგენტო ავრცელებს ხმებს, ვითომც რუსეთის გადაწყვეტილი ჰქონდეს დაარღვიოს რუმინიის ნეიტრალიტეტი“. ეს ცნობა ყოველივე სიმართლეს მოკლებულია, ყალბი ცნობაა და გერმანელების მოჰორილათ უნდა ჩაითვალოსო.

——

გერმანია და ზავი.

მიუხედავით ამისა, რომ გაზეთი ნორდეუჩე ალგემ. ციტ.“—ამბობს რეიხსტაგში დეპუტატებს არავითარი მოლაპარაკება არა ჰქონდათ ზავის შესახებ, ჰოლანდიის ოფიციალური დეპეშათა საგენტო განმეორებით ამტკიცებს, რომ ასეთი მოლაპარაკება მოხდა ამსტერდამში გერმანიის რეიხსტაგის წევრებმა

ისე დამბნიდა, რომ ახლა შენს იქით შე გზა არა მაქვს,— ეს რომ სთქვა გადახედა ალში გახვეულს ქალს მწერალმა.

ქალმა უკან დაიხია და სირცხვილით თვალებზე ხელი მიიფარა, ვეღარ გასძლო, მომხიბვლელმა სიტყვებმა დაიმონა.,.

აქედან ჩაედო საძირკველი სიძე-ცოლის დის სიყვარულს. ასეთი ფანდები, ხიფანგი გრიშიკოს პირველად არ უხმარია. ხშირად ხმარობდა ასეთს ბადეს მსხვერპლის დასაჭერად. ცოლის დის გადმობირვა მისთვის ბევრ ნაირად იყო ხელ-საყრელი: ერთი რომ მის მეტს არავის მინდობოდა იგი, რომ მისი წყალ-ადგილ-მამული მას ჩავარდნოდა ხელში და დიდი მემამულე გამხდარიყო. მის გაუმაძღარს მუცელს რა ამოავსებდა? იგი სულ იმის საგონებელში იყო, რაც შეიძლება მეტი მამული ეგდო ხელში, რომ ბადალი არავინ ყოლოდა იმ არე-მარეზე.

გრიშიკოს ცოლს მისი ქმრის სულის კვეთება თუ იგი მის დას შეიყვარებდა, გულშიც არ გაუტარებია. აბა ეგ რა მოსაფიქრებელი იქნებოდა; ქალმა დედა, ნათესავები, სინიდისი და სირცხვილი უკუაგდო მისი გულისათვის, სახლში შემოიყვანა, მზა-მზარეულზე დასვა, სასმელი არ ეკითხებოდა და საჭმელი, ოჯახი სავსე იყო ყველაფრით. ის თუ თვის მურდალ ხელს კიდევ მის დას წაუპოტინებდა, ვინ იფიქრებდა. სხვა არა იყოს რა, ის რათ ეფიქრებდა. რომ იმ საზოგადოებაში მწერლის ადგილი უშოვა, ბოქაული მოისყიდა და დააყენებია სხვის ალაგს. იქ გრიშიკო ისე გადიდგულდა, რომ ბოქაული კი არა, მის უფროსსაც არაფრად აგდებდა. ქრთამითა და ძღვნით ყელამდე გაევსო ჩვენი გრიშიკო. ამას ისიც დაურთე, რომ მწერლობა რომ ალარ იკადრა მან,

და ჰოლანდიის მთავრობის წარმომადგენელთა შორისო. ამ ჭოლაპარაკებას დასწრებია დეპუტატი სოციალისტი ერდმანიც.

ბერლინიდან იუწყებიან: გაზეთი „ფორვერტი“ მოითხოვს, რომ ზავის შესახებ ლაყბობის ნაცვლათ დრო არის ზავის დადებითი პროგრამა შემუშავდეს ან და ნება მიეცეს საზოგადოებას საჭიროთ განიხილოს ეს საკითხიო.

გერმანიის ჯაშუშები ამერიკაში.

ნიუიორკიდან ცნობა მოვიდა რომ იქ შეუპყრიათ კიდევ 18 გერმანელი ჯაშუში, რომელნიც თურმე ქრთამავდენ მუშებს, აპარვინებდენ მანქანების საჭირო ნაწილებს და მით აგვიანებდენ ოთხთა შეთანხმებისაგან შეკვეთილ სამხედრო მასალის დროზე მომზადებასაო.

ქრონიკა.

რუსეთი.

პოლონეთი.

პოლონური სასამართლოების დაკეტვის შემდეგ ვარშავის პოლიციის პრეზიდენტმა უარი განაცხადა პოლონურ სასამართლოების განჩინებების ასრულებაზე. „ობივატელების“ კომიტეტმა ამის გამო საჩივარი შეიტანა ცენტრალურ სამოქალაქო მთავრობასთან, რაიდანაც ახალ—ახალი მოვიდა პასუხი, რომ პოლიციის მიერ უარის თქმა განჩინებების აღსრულებაზე გამოწვეულია უბრალო გაუგებრობით. ამიერიდან პოლონურ სასამართლოების განჩინებებს კანონიერი ძალა მიეცემაო.

სტუდენტები ინსტრუქტორები.

სამთა-მოდნო დეპარტამენტმა სამხედრო სამრეწველო ცენტრალურ კომიტეტს აცნობა, რომ ამ ჟამათ ერთი ჯგუფი სტუდენტებისა ათავებს პრაკტიკულ მუშაობის, კურს, რომელი ჯგუფიც გგზავნილი იყო ინსტრუქტორების მოსამზადებლათ სახელმწიფოს თავდასაცავ საგნების დასამუშავებლათ. ამასთანავე დეპარტამენტი ეკითხება ცენტრალურ კომიტეტს შეიძლება თუ არა აღნიშნულ სტუდენტებს მიეცეს ტეხნიკური სამუშევარი კერძო ქარხნებში სამხედრო სურსათის დასამუშავებლათ ჯარისა და ფლოტისათვის და თუ შეიძლება რამდენი რიცხვი სტუდენტებისაა საჭირო ამ ქარხნებისათვისაო.

სანოვაგის სიძვირე და მუშები.

პეტროგრადის მუშები ენერგიულ მონაწილეობას ღებულობენ სანოვაგის გაძვირების წინააღმდეგ. ამ უკანასკნელ დღეებში თითქმის სატახტო ქალაქის მუშათა ყველა რაიონში მოხდა წინასწარი თათბირი მომხმარებელ კოოპერატივების და-

მერმე რკინის გზაში მოინება ჩადგომა. შეშა, განათება, მუქთი სახლი და კარი მექნებაო,—ფიქრობდა. იქაც ცოლმა უშოვა ადგილი. იქვე რკინის გზის ერთ-ერთს სადგურზე მონახა თვისი ნათესავი, ტელეგრაფისტი, მოამზადებინა ტელეგრაფისტობაზე და მერმე, ხუთი თვის შემდეგ იმდენი იძრომილა, რომ გამოცდის შემდეგ ალაგი მისცეს იქვე, სადგურზე. ასეთი ბედი გრიშიკოს ყველგან დასდევდა. გაიძახოდენ იქით-აქით: ამ კაცს ძალის იღბალი აქვსო, სადაც წავა და წამოვა გზა ხსნილიაო.

მიუხედავათ ამისა, გრიშიკომ ცოლს კიდევ ულალატა და ცოლის დას გადაყვა. რაც დრო გადიოდა, მათი ურთიერთობა უფრო და უფრო მტკიცე ნიადაგს ბოლოობდა და ყველასთვინ აშკარავდებოდა. რასაკვირველი, არც მაშიკოს გამობარვა ქმრის ასეთი ქცევ ბუდანობა. მაშიკო ხედავდა, რომ ელენკო და გრიშიკო ძრიელ გადავიდენ წრეს. ელენტიას გულზე მოსდიოდა სიძის ასეთი უნამუსობა და ამბობდა:

— ჯერ ერთი შვილი მომიჯადოვა და ახლა მეორესაც მიჭყო ხელიო. ნამდვილად ჯადო აქვს, ეგ სინიდისზე ხელაღებული წანეთ სულ ურიების ქალები თან დადიოდა, იმათგან ჯადო იშოვა და მას შემდეგ ვისაც მოინდომებს, ყველა მისია. გრიშიკომ, რომ ცოლის და ცოლად მიიწერა და მის სახელზე რკინის გზის მუქთი ბილეთი გამოიწერა, მაშინ კი ცოლმა, ეს რომ გაიგო, კინაღამ მოკვლა დაუპირა ქმარს! ორჯელ-სამჯელ შეყვარებულები ერთად წაბრძანდენ რკინის გზაზე. ცოლი დაედევნა გრიშიკოს, მიმავალთ დაუხვდა წინ ორთავეს, ეცა და თმაში და სულ დაწიწკნა; ძლივს გააგდებინეს ხელიდან.

არსების შესახებ. ყველა კრებაზე გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიც მუშები გამოსთქვამენ აზრს, რომ კოოპერაცია მხოლოდ ერთ—ერთი ფორმაა მუშათა მოძრაობისა. ხოლო სურსათის ნაკლებობისა და გაძვირების წინააღმდეგ საბრძოლათ საჭიროა, მუშების აზრით, ფართო განვითარება ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და გადაცემა სურსათის საკითხისა საზოგადოებათა ხელში.

გერმანელების ოცნება.

„ბირჟევია ვედ.“ პროპერი სწერს: დღითიდღე სხვადასხვა წყაროებიდან ევროპის პრესაში ხმა გავრცელდა ზავის ჩამოგდებისათვის ნიადაგის მოსამზადებლათ. როგორც ამ ხმებიდან ირკვევა, ზავის ჩამოგდების ინიციატივა გერმანიას უნდა ეკუთნოდეს, რომელიც ცდილობს ნეიტრალურ სახელმწიფოებში შუა კაცები იშოვოსო. გავრცელებული ხმები ნათელ ყოფენ ავგრეთვე იმ ფაქტს, რომ გერმანიაში ზავის მომხრეთა რიცხვი თანდათან იზრდება და რომ დღევანდელ მომენტში თვით ბერლინის ხელმძღვანელი სფერები საჭიროთ სცნობენ ბოლო მოეღოს საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტასო.

ბერლინის რეიხსტაგის სოც. დემოკრატიულ ფრაქციაში ამას წინათ მომხდარი კამათი ნათელს ყოფს იმას, თუ რა გაჭივრებას განიცდის დღეს მუშათა კლასი გერმანიაში. ეს ნათლათ გამოიხატა ფრაქციის ზოგიერთი წევრის სიტყვაში, რომელნიც მოითხოვდენ, რომ ფრაქციამ მიმართოს სიმპერიო კანცლერს, რაც შეიძლება მალე ჩამოვარდეს ზავი, თუნდა ამისთვის საჭირო გახდეს ანექსიაზე უარის თქმა. მართალია, ამ აზრს ფრაქციის უმრავლესობამ არ დაუჭირა მხარი, მაგრამ სამხედრო ცენზურამ მაინც არ აუკრძალა „ფორვარტს“ გამოექვეყნებინა ფრაქციის მსჯელობა და ეს გარემოება კი იმას ადასტურებს, რომ თვით გერმანიის მთავრობა წინააღმდეგი არაა სიტყვით მაინც საღავათი მისცეს ხალხს თავისი გაჭირვების გამოთქმისა. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ჯერ კიდევ შარშან შუა ზამთარში გერმანია სურსათის ნაკლებობას განიცდიდა და წელს კი შემოდგომაზევე გაისმის სურსათის ნაკლებობაზე ჩივილის ხმები.

ამ გვარათ საღი მოსაზრება უკარნახებს გერმანელ ხელმძღვანელებს განხეთქილების თავიდან ასაშორებლათ, დროით შეეცადონ ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას. გარდა ამისა შემდეგი წარმატება ნაკლებ საეჭვოა გერმანელებისათვის, რადგანაც ბრძოლის ველის გაფართოება სულ ახალ ახალ ძალას ბ აურაცხელ სამხედრო სურსათის თხოვნულობს, რასაც ვერ შესძლებს უკლებოთ დარჩენილი სახელმწიფოთა.

აი ატმოსფერა, [illegible] გერმანელ მეთაურებს [illegible] მოახდინონ.

მაგრამ იგივე გარემოება, რაც გერმანეთს აიძულებს ზავის ჩამოსაგდებათ, ჩვენსა და ჩვენი მოკავშირეებისთვის შეუძლებლათ ხდის ზავის პირობების მიღებას, ვიდრე ევროპაში გერმანული მილიტარიზმის შემუსვრა არ იქნება.

უკანასკნელ კვირაში ჩვენ მოწმენი ვართ ისეთი ფაკტებისა, რომელიც ადასტურებდენ იმ გარემოებას, რომ კოალიციას მტკიცეთ გადაწყვეტილი აქვს ბრძოლა თავის ლოდიკურ დასკვნამდი მიიყვანოს. ამ გარემოებაზე ლაპარაკობს იაპონიის თანხმობა რუსეთ-ინგლის-საფრანგეთთან—არ შეიკრას სეპარატიული ზავი; საფრანგეთის მთავრობის ცვლილება, და ახალი კაბინეტის განცხადება პალატაში და ბრიანისადმი ნდობის გამოცხადება პალატის უმრავლესობისაგან; ასკვიტის გამოსვლა ინგლისის პარლამენტში და თანაგრძნობა. ამ დემონსტრატიულ გამოსვლებთან ერთად მოკავშირენი პრაკტიკულ ნაბიჯებსაც სდგამენ ბრძოლის ველზე. მაგ. გენერალისიმუს ჟოფრის ლონდონში მოგზაურობას მოყვა მოკავშირეთა ჯარის გაძლიერება არა მარტო მაკედონიაში, არამედ დარდანელშიაც. ამავე დროს რუსეთმა პრინციპიალურად გადასწყვიტა ბალკანეთის ოპერაციებს ხელი შეუწყოს. ყველა ეს მალე დაანახვებს მტერს, რომ ბალკანეთშიც ისეთი შეუმუსვრელი ძალა დახვდებათ, როგორც ეს საფრანგეთ-რუსეთის ფრონტებზე იგემეს.

აი, ასეთია მოკავშირეთა პასუხი გერმანელების ოცნებაზე ზავის შესახებ. არავითარი დროებითი წარმატება და კერძო გამარჯვება ვერ შეგვაშინებს ჩვენ. ყოველ გვარ გაჭირვებასა და განცდებს სულგრძელობით გადვიტანთ, ვიდრე არ შევქმნით ისეთ პირობებს, როცა ზავზე ლაპარაკი ჩვენთვის ხელსაყრელი იქნებაო, დასძენს პროპერი.

ბიულოვის მისია.

გერმანეთის მთავრობამ აცნობა შვეიცარიის მთავრობას, რომ თ-დ ბიულოვს არავითარი ოფიციალური მისია არა აქვს მინდობილი. წინანდებურათ გერმანეთის ინტერესები შვეიცარიაში წარდგენილი იქნება ბერნში მუდმივათ მყოფ გერმანეთის ელჩის მიერ.

მიუხედავათ ბერლინის კაბინეტის ამ განცხადებისა, რომის პოლიტიკურ წრეებს საფუძველი აქვთ იფიქრონ, რომ ყოფილს

— შენ, საიდანაც მობრძანებულხარ, იქითკენ წაბრძანდი,—უთხრა ქმარს მაშიკომ,—ღღეიდან შენთან ყოველივე კავშირს ვსპობ. მე მაგის ღირსი ვარ შენგან, როდესაც მე შენ კაცად გამოგიყვანე?.. ახლა კარგად გადამიხადე პატივისცემა. ჩემს თავზე ახია, რაც მომივა. მაგრამ შენ, მაგ გაიძვერობით გაგქონდა საქმე და გაიტანე კიდეც, მეც მხარი მოგიქციე. ვაი დედიჩემის ღმერთს!

— რა იყო ქალო, რამ გადაგრია, შენი და წამოვიდა გასასეირნებლად, აბა ვინ ჰყავს მეტი პატრონი, რა დიდი საქმეა და ძმანი ერთად იყვნენ? ანუგეშა ქმარმა ცოლი.

— აი ძმარი წაგვარდა შენ მაგ ცხვირიდან, რაც შენ იმას ძმურად ეკიდებოდე!.. არაფერია, გაგასწორებ შენცა და იმასაცა, ღმერთი ისე რავა მომკლავს, რა ვიცი. აწი თვალით არ დამენახოთ,—ეს სთქვა მაშიკომ და შინისაკენ გაბრუნდა. ორივე მიჯნურნი კუდ-ამოძუებულნი. დასცილდენ ერთმანეთს: გრიშოკო მამასთან წავიდა და ელენკო დედასთან.

—ხომ გითხარი დედა, რომ მაგ ავაზაკის გამო ჩემს ხორცს ნუ მოაწიწკნიან მეთქი, იმან გააუბედურა ჩემი საწყალი და საცოდავი ნაზარდი შვილები. ჯერ შენ მოგიქცია ფხარი და გადაიწერა შენზედ ჯვარი; მაგაზე უკეთეს კაცს ვერ იშოვიდი შვილო! მერე, როდესაც სახლში შამოვიდა, ადარც ცოლის და დაზოგა. ჩემი გამტყუნებული თავი, ახლა ხომ მართალი გამოდგა,—ეუბნებოდა ელენტია თავის შვილებს და თან სწყევლიდა იმას, ვინაც მისი შვილები შეაცდინა წინა პირველად; ავაზაკს, გარყვნილს ჩაუგდო ხელში.

რა ჰქნას ახლა გრიშიკო მწერალმა?

ის მაინც ეხტიბარს არ იტეხდა და ცოლის შესარიგებლად იგონებდა ხრიკებს. მოისყიდა ცოლის ნათესავები, ხან აქედან შეუჩნდა, ხან იქიდან და, როგორც იყო, მოახერხა ცოლთან მისვლა. ფიცი, მტკიცე მისცა მას, რომ ამიერიდან შეურყეველად დაიცავდა გვირგვინს და არ ულალატებდა სიკვდილამდე. „ქურდმა თუ ფიცი იშოვა, დღეში ათასჯერ დაიფიცებსო“ ამ ანდაზისა არ იყოს, გრიშიკომ რა კი თვის „პატიოსნებაში“ ცოლი დააჯერა, აწი კიდევ იმან იცოდა.

გრიშიკომ მართლაც თვისი მიხვეულ-მოხვეული გზით ყველასთან საქმის დაჭერა მოახერხა ისე, რომ არც მწვადი დაუწვავს და არც შამფური. ცოლს არწმუნებდა მე შენი ღალატი ღმერთმა გულში ნუ გამატარებინოსო. ჩვენ მხოლოდ ჩვენი მომავლისათვის უნდა ვზრუნავდეთო. მე ელენკოს დასავით ვეკიდები და იმასაც ძმასავით მივაჩნივარ. შენ რა გენაღვლება მე იმას თავი მოუქონო. იქნება ისე გადაუტრიალდეს გული, რომ ერთს მშვენიერს დღეს თვისი ნაწილი მამულ-დედული ქე გადმოქცეს ჩვენ, ჩვენ შვილებს მერე პირს დასწვავს ამდენი ქონება? აქ დიდი ანგარიშია, ეს ადვილი მოსახერხებელია, მე ვიცი და იმან. ქმრის ასეთი ოინები მაშიკოს გულში ჩაუვარდა, მაგრამ ის კი ვერ წარმოედგინა, რომ სიძე ცოლის და ერთმანეთს შეიყვარებდენ. ქვეყნისაც, ღმერთს წინაშე, რცხვენოდა. ყველა გაიძახოდა: ეს რა მოგვევლინა სიძე ცოლის და ერთმანეთს როგორ გადაკიდებიან, უერთმანეთოდ წყალს არ აქცევენო. დედა ელენტია ხომ ხესაც შესჩივოდა: „მე დამწვარ-დადაგული რა უბედურ დღეს დავიბადე ამისთანას, რომ ასეთი ჯოჯოხეთი

საიმპერიო კანცლერს დაკისრული აქვს დიდი მინდობილობა—ოთამზადოს ევროპის საზოგადოებრივი აზრი საერთაშორისო ომის ბოლოს მოსაღებად. ამ მიზნის განხორციელების იმედი ბიულოვს აქვს ვატიკანის ახლო დახმარებით. მაგრამ, რადგანაც ავსტრო-იტალიის შორის ომის გამოცხადების შემდეგ ვატიკანში არ იმყოფებიან გერმანეთისა და ავსტრო-უნგრეთის ელჩები (ესენი ლიუცერნში არიან), ამიტომ ბიულოვიც იქ გადასახლდა, რომ ხშირი დამოკიდებულება იქონიოს მათთან და მათი შემწეობით ვატიკანთანაც.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

✦ ქუთაისში უკვე გამოაკრეს უმაღლესი ბრძანება პირველი ხარისხის მომლაშქრეთა (წითელ ბილეთიანების) მოქმედ ჯარში გაწვევის შესახებ. ვალდებული არიან გამოცხადდენ სამხედრო სამმართველოში 2 ნოემბერს, დღის 6 საათზე, ყველა ის პირნი, რომლებიც გაწვეული იყვნენ ხამხედრო სამსახურისათვის 1906 წლიდან დღემდის.

✦ პარასკევს, 30 ოქტომბერს, ქუთაისის ქალაქის თეატრში გამართულ ნიკოლოზ ჩიგიანის კონცერტს ხალხი ცოტა დაესწრო.

✦ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. ყვირილის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, ს. ძირულაში უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების შესახებ.

✦ მეეტლე ხვედელიძეს, რომლის ეტლითაც დაბრძანდებოდა ხელმწიფის მოადგილე ქუთაისში ყოფნის დროს, მათი უმაღლესობამ სიჩუქრად გამოუგზავნა ვერცხლის საათი, ზედწარწერით. „ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე“.

✦ წერა კითხვის გამავრ. ქუთ. განყოფილების გამგეობის კრება, რომელიც დანიშნული იყო 30 ოქტომბრისათვის, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო სხვა დროისთვის გადაიდო.

✦ **ტყიბული.** ამ ჟამათ აქ მძვინვარებს ხუნაგი (სკარლატინა), რომელიც ბავშებს მუსრს ავლებს. საჭიროა საჩქარო დახმარება. ტყიბულის მიდამოებში აგრეთვე მძვინვარებს საქონლის ჭირი თურქული, რომელიც საქონელს უწყალოთ ხოცავს. ზოგიერთი პირი თურქულიან საქონელს კლავს და მცხოვრებლებზე ყიდის ხორცს. საჭიროა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

✦ ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელი

დატრიალდა ჩემს ოჯახში. რა ნაირად არიან ჩაცივებულნი ერთმანეთზე ეს დღე დასაკლებულები, უსიკეთილოთ მათი დაცილება არ იქნება. ნაშდვილად შვილები მომიწამლა იმ წუწკმა. რა ვიფიქრო, რა გზახ დავადგე, მირჩიეთ ვინმემ ღვთის გულისათვისაო.

დაბოლოს ისე აშკარად გამოვიდნენ შეყვარებულები, რომ ერთად წოლასაც აღარ თაკილობდენ. მაშიკომ ისინი ერთად დაწოლილნი რომ დაინახა, სხვა ვერაფერი მოახერხა, საწამლავი დალია, მაგრამ მიუსწრეს და გადაარჩინეს. ცოლის და ფეხ მძიმე შეიქნა. გრიშიკომ აქაც შეხძლო გაპივრებიდან გამოსვლა. სოფლად ხმა გავრცელა: ჩემს ცოლის დას „ტაბასტა“ დაემართაო, წაავლო ელენკოს ხელი და ქალაქში, საავადმყოფოში, ატუცვია თავი. ბილეთი მას რკინის გზაზე მუქთი ჰქონდა, როგორც მის ცოლს; საავადმყოფოშიც ადვილი იყო მისი მოთავსება; მრავლოგინებია იქვე, ბავშვი მოაკვლევინა და ორი კვირის შემდეგ სახლში გამოპანწკნული მოიყვანა, თითქო აქ არაფერიაო; მათი კავშირი კვლავ თვის კალაბოტში ჩადგა. ცხოვრობდენ ნებივრად დიდ ხანს. როდესაც საქმე საორხელოდ შეიქნებოდა, წამალს იხმარდა და მუცელს წაიხდენდა. როდესაც დიდმა მითქმა-მოთქმამ მათ სისაძაგლეზე უკიდურესობამდი მიაღწია, მერმე კი გადასწყვიტეს ქვეყნის თვალის ასახვევად გათხოვილიყო ელენკო, გაყოლოდა ვისმე ისე რაღა, ფორმალურად მარტო, თორემ ერთმანეთის დაცილება როდი იქნებოდა?

ეს განზრახვა გრიშიკომ ცოლს გადასცა, ცოლმა იფიქრა ეგვგბა რამე ნაირად ერთმანეთს დაშორდენო ჩემი დაი რომ გათხოვდებაო და, რაც ძალა და ღონე ქუთათური განყოფილების საბიბლიოთეკო კომისიის წევრებმა ს. ყიფიანმა, გრ. გიორგაძემ ტ. რ. კანდელაკმა წარუდგინეს შემდეგი მოხსენება: საზოგადოების ყველა ბიბლიოთეკებს მიეცეს შენობის ასაგებად 150 მან. და 60 მან. კი ჟურნალ გაზეთების და საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნების შესაძენად. ბიბლიოთეკების მეთვალყურე დოლაბერიძე გათავისუფლონ სტაჟის მეთვალყურეობისგან და გაიგზავნოს ბიბლიოთეკების სარეგიზიოთ.

✦ ქალაქის სანიტარმა იღია ჩაჩანიძემ ოქმი შეუტანა უსუფთაობისთვის მიხაილოვის ქუჩაზე ფიჯხაზე ბუზიაშვილს და ბალასანის ქუჩაზე ერმალო ნასეკიძეს.

სოფლათ.

— 20 ოქტომბერს, ცალიკარის (სენაკის მაზა) მცხოვრები ალექსანდრე კუკია მამასთან ერთად მდ. რიონზე ნავით გადასვლის დროს უეცრივ ჩავარდა წყალში და დაირჩო.

— 25 ოქტომბერს, ძველი სენაკის მოგზაურს მისეულ ზეტ. გოგინავას გაუტეხეს დუქანი და გაიტანეს სხვა და სხვა ფართლეულობა დირებული 1500 მანეთად. წაღებული საქონლის ნაწილი პოლიციამ აღმოაჩინა ს. ფშაბათში შარეზიას ჩვენებით. მისი ამხანაგები ამ საქმეში მიხეულ ქვეთარაძე და დავრესტი შურგაია ეოფიდან. პირველი ორი უკვე დაპატიმრებული არიან.

— **სასიკვდილოთ თავდასხმა.** 23 ოკტომბერს, ს. ნაესაკოვის (სენაკის მაზრა) მცხოვრებს კვიტა სპირდონის ასულს ჩაჩავას თავს დაესხა ამავე ს. მცხოვრები ივანე ესას ძე ჩაჩავა და სასიკვდილოთ დასჭრა. დამნაშავე დაიკავეს.

ჩვენიც მოისმინეთ!

ამ ერთსა თუ ორი თვის წინად ჩვენმა გაზეთმა ადგილი მისცა ბ-ნ **დასელის** წერილებს დასელებისავე წინააღმდეგ, ზოგი ერთ ტაკტიკურ კითხვების შესახებ.

პირველი ფელეტონის გარდა, რომელიც ცოტა მკვახედ არის დაწერილი, დანარჩენები ისეთ არას შეიცავენ, რომ „ბურჟუასა თუ მარა ბურჟუასათვის“—საყურადღებო არ იყოს მათში აღძრული საკითხების გარკვევა, გაშუქება.

ამ წერილებს, როგორც მოსალოდნელი იყო, მიუქცევია ბ-ნ ანის ყურადღება და გუშინდლიდან „თან. აზრში“ უკვე დაიწყო მისი სიპასუხო წერილების ბეჭდვა. როგორ მორიგდებიან, ან როგორ დაარწმუნებენ ერთმანეთს ეს **ორი დასელი**, ეს მათი პირადი საქმეა, მაგრამ არ შეგვიძლია ახლავე არ უარყოთ ბ-ნ ანის **შეფასება** ჩვენის მიმართულებისა. ბ-ნი ანი **სწერს:**

ჰქონდა, დატრიალდა, იშოვეს მაშუალი იქით ეცენ, აქეთ ეცენ და გამონახეს ერთი გულუბრყვილო პატიოსნებით სავსე ყმაწვილი კაცი, იწყეს მასზე ნადირობა. ეს ყმაწვილი კაცი ერთბაშად, რასაკვირველია, საქმეს არ შეტაკებია. ამახ ჰკითხა, იმას ჰკითხა, მოახდინა გამოძიება—გამოკვლევა; ზოგმა უგინა, ზოგმაც უქო, კაცს, სადაც მოყვარე ჰყავს, იქ მტერიცაა. პირველ ხანებში საქმე თითქმის შეტორტმანდა და რაღაც მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მაგრამ გრიშიკომ აქაც მოახერხა საქმის გამოკეთება.

სასიძოს შეუთვალა: ქალი ნახე, იმის ადგილ-მამულს შემოუარე, სახლ-კარსა და მის ავლა-დიდებას თვალი გადააგლე, თუ დაგიჯდეს აიყვანე, თუ არა შენც მშვიდობით და ჩვენცაო.

გრიშიკო ფიქრობდა: თუ ერთი სახლში მოვიგდე, მერე მე ვიცი როგორც გავაბამ ბადეშიო. და ასეც აასრულა.

სასიძო მოსულ სიფლიდან იყო, მისი ძმა აქაური სოფლის ერთი აზნაურის სიძე იყო და აი, ეს ძმა დაიახლოვეს, შეუხვიეს თავი, მოუქციეს მხარი. იმანაც თვისი უნცროსი ძმა, რომელიც მას ყველაფერს უჯეროდა, ნებას დაიყოლია და საქმეც გაჩარხა! დათქმა იყო ორივე მხარისგან, ქალ-ვაჟი რომ ერთმანეთს ნახავდენ, ვაჟს დანიშვნამდი უნდა მიეღო ფულად წინ და წინ ოცდაათი თუმანი და ჯვრის წერის დროს კი მისი კერძი დედულ-მამული საცოლეს უნდა გადაეცა სრულიად წერილობით.

სიძე გახლდათ ალვის ხვსავით ტანწვრილი, შავ-თვალ-წარბა, ახლად წყვრულვაშა ამომწვანებული, ვაჟ-კაცი.

სინო მადალია (სიძის სახელი და გვარია) დარწმუნდა, რომ ჩემმა ილბალმა ახლა გასჭრა და მეშველაო. ცოტათი ქალი ბირ-ხმელი ქე იყო, ლოყებ დანოჭებული, მაგრამ მალალიამ ამას ყურადღება ადარ მიაქცია და ჯვარი გადაიწერა.

ელენტიას—ეს ქორწილი, როგორც უფროსი ქალისაც, არაფრად მიაჩნდა, რადგან იცოდა, რომ მისი პირველი სიძის, გრიშიკო მწერლის ნაშუშევარს არაფერს ჰქონდა ხეირი და კეთილი ბოლო. იცოდა, რომ გრიშიკოს და ელენკოს დაშორება არავის შეეძლო. ქორწილი მხოლოდ ნათესავების თვალის ასახვევად მოახდინეს, თორემ, მათს სიყვარულს რა გაანელებდა!

ქორწილის დღეს გრიშიკო და ელენკო ერთმანეთს თვალს არ აშორებდენ, ნავახშევს მაყრები აირ-დაირიენ, ზოგი მთვრალი იყო და ზოგი ფხიზელი, აიშალენ სუფრიდან და მიაყოლეს სიმღერა „მეფეი“, ნეფე-დედოფალი სინთიოპბომდი უნდა მიაცილონ—ხმალ-ხანჯლები კარების თავზე გადააჯვარადინეს და ისე გაატარეს ახლად ჯვარდაწერილები.

სანამ სინთიოპბომდე მიაღწევდენ, ერთს ოთახში შევიდენ, იქ სუფრა დახვდათ გაშლილი, პური და ღვინით სავსე. მიუსხდენ სუფრას დედოფალ ნეფიანი, იწყეს აქაც სმა დადრეკობა. მგრმე წამოდგა დედოფალი, და სანთიოპბოსკენ წავიდა. ის მარტო წავიდა. ნეფე ქეიფს შეექცა სუფრაზე.

სანთიოპბოსაკენ მიმავალს დედოფალს ელენკოს ჩვენი ცნობილი გმირი გრიშიკო მწერალიც აედევნა. ელენკოსაც ეს უნდოდა. მოიხედა მან და შეკრა თვალი გრიშიკოს. გულში ცეცხლის ალი აენთო. ეს ერთი დამე იყო, რომ ისინი უერთმანეთოდ უნდა დარჩენილიყვენ, მაგრამ აქაც ეშმაკი შეუჯდათ იმათ ფხრებში.

— მე კი წავალ აწი დასაძინებლად,—

დამხრაკავ ცეცხლს და შეძლებას მოგვცეს ყველა ჩვენთაგანს პასუხი მოსთხოვოთ თავის მოქმედებაში.

ვსთქვათ რამდენიმე სართულიან სახლს ცეცხლი წაეკიდა. ამ სახლში ცხოვრობენ სულ მაღლა და დიდებულათ მოწყობილ სართულში—„ბურჟუები“, შუათანაში ამ სახლის მოურავები და სულ დაბლა-თუნდაც ჭუჭყიან და ნესტიან სარდაფში „პროლეტარები“.

გეკითხებით თქვენ, როგორ უნდა მოიქცენ ამ სახლის მდგმურები ყველანი ერთად?

უნდა ვსიამოვნოთ ერთმანეთის განადგურება, თუ ერთმანეთს უნდა მიეშველნენ, რომ საერთო სადგომი გადაარჩინონ?

დასაძრახისია ის ფხიზელი დარაჯი, რომელიც ყველაზე პირველად გაიგებს ცეცხლის გაჩენას და განგაშს ასტეხს, თუ პატივის ცემით მოსახსენებელი?...

ან განა გაახსენდება კაცს მეტისახელის დაძახება იმ დროს, როცა შიშისაგან თავ-გზა-აბნეულებს ერთმანეთის ნათლობის სახელიც კი ავიწყდებათ?...

ვიცით, ბატონებო, ვიცით, რომ ევროპასა თუ აზია—ამერიკა—აფრიკაში არსებობენ თავისუფალი სახელმწიფოები, არსებობს მტარვალობა, არსებობს კაპიტალიზმი, არსებობს უკიდურესი სიმდიდრე და უკიდურესი სიღარიბე.

გვწამს, რომ ერთი—მილიარდერი—ოქროს სკამზე ზის, ოქროს კოვზით რძეს აწვეთებენ პირში, მაგრამ ისე აქვს მეტის ფუფუნებისაგან კუჭი მოშლილი, რომ ეს წვეთი რძისაც ვერ გადაუყლაპია. ისიც გვწამს, რომ არის უმუშევარი ჯანსაღი ვაჟკაცი, რომელიც მთელ ბატკანს შესჭამს თავის ძვლებიანათ და მშვენივრათაც მობნელებს, მაგრამ საჭმელს კი ვერ შოულობს. ვიცით რომ ყველა იმ უსამართლობის ბრალია, რომელიც ქვეყნათ არის გამეფებული, ისიც ვიცით რომ ყველა ამ უსამართლობას მოსპობს საერთო ძმობა-ერთობა; მაგრამ, ნათქვამია, ვიდრე ბავლე მოვიდოდა, პეტრეს ტყავი გააძვრესო. და აი ამ ბავლეს მოსვლამდე, ჩვენ არ გვინდა რომ პეტრეს—ამ შემთხვევაში საქართველოსა და ქართველებს—ტყავი გასძვრეს და აღიგაოს ბირისაგან ქვეყნისა—აქ ჩვენ გვამოქმედებს სრულიად კანონიერი და ბუნებრივი ადგილ თავის დაცვისა და განა ეს **მემარჯვნეობაა?**

მემარჯვნე ჭქვიან იმას, ვინც ბნელ ძალებს უჭერს მხარს, ვინც თავის პირად, ცხოველურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად თავის მოყვასის ძვლებს ამტვრევს და გულ-ღვიძლს ხრაკავს.

და განა ახე იქცევა „სამშობლო“? თუ თქვენ, ბატონებო, იმდენათ განვითარდით, რომ თქვენი დროშა **მოლიანის** ინტერესია (ამ შემთხვევაში მთელი კაცობრობაზე ზრუნვა) რატომ იმდენი სამართლიანობა არა გაქვთ რომ პატარა ერის ბატარა მუშაკები—ბურჟუა ასაღებენ ... არიან.

ჩვენი დროშაც **მოლიანის** ინტერესია. ჩვენი მოლიანი კი ჩვენი ერი, ჩვენი საქართველოა. და თუ საქართველო დაცული იქნება, დაცულ იქნება ის სამართლიანობაც, რომელიც ყველა ერს მოეთხოვება. რა შუაშია აქ **მემარჯვენობა** ან **მემარცხენობა.** აქ საჭიროა ალალი და მართალი კაცი—რომელიც თავს არ დაზოგავს ჭეშმარიტებისა და სიკეთის დასამყარებლად.

აბა ამ თვალით შეხედეთ ჩვენ ქადაგებასა და ჩვენ მოქმედებას, თუ თქვენვე არ შეგრცხვეთ თქვენის წამოწახილისა.

იქნება თქვენ არ იცით, ბატონებო, რომ ჩვენ საერთო სახლში, საქართველოში—ბნელა... ამ სიბნელემ ბევრი ჭია-ღუა გაჩინა ამ სახლში. მოგვეშველენით, გავაშუქოთ, გავათბოთ ეს სახლი და ეს ჭია-ღუები თავის თავათ გაჭრებიან!.. აი ჩვენი რწმენა!

მეორე ჩვენი რწმენა კიდევ ეს არის, რომ ჩვენი საერთო სახლის გასათბობათა და გასანათებლად საჭიროა ყველა ჩვენთაგანის ხელის წახმარება...

ამ ერთობას კი უშლის ის უკიდურესობა, რომელსაც ხშირათა ვქადაგებთ...

ჩვენ ვქადაგებთ, მაგალითად, „თავადაზნაურობა ცხოვრებისაგან განწირული წოდებაა, ჰკა მაგათაო!“ და ამავე დროს მათგან ვიღებთ ფულებს ჩვენის („მემარცხენე“) იდეების გასავრცელებლად.

ჩვენ ვიძახით „ესა და ეს საზიზღარი ბურჟუაა“ო, მაგრამ ის მაინც დახმარების ხელს გვაწვდის. (მაგ. სარაჯიშვილი)

ჩვენ ერთ დროს ვგმობდით გლეხებსაც კი და ჩვენ ღირსად არა ვხდიდით, მაგრამ ახლა ქვეყნის ბურჯი ისა გვგონია და სხვა და სხვა და სხვა.

რამდენი წინააღმდეგობა უნდა ჩამოვთვალოთ ჩვენ სიტყვასა და საქმეს შორის და ახლა თქვენ ამიხსენით, ბატონებო, რიდასთვის სარგებლობთ „ბურჟუაზიის“ დახმარებით თუ საეერთო, საქვეყნო საქმე არ ამოქმედებთ ყველას?

განა მემარჯვენობაა, როდესაც ვიძახით: მოდი მოვსპოთ ეს წინააღმდეგობა, ნუ ვატყუებთ ერთი მეორეს, ვინაიდან პრაქტიკულად ერთმანეთის თავი გვჭირია,—შევერთდეთ, შევიკრიბოთ ტ. საერთო ძალით შევქმნათ უკეთესი ბირობანი ბოროტებასთან საბრძოლველად?....

ალბათ—ვიმეორებ—თქვენი მემარჯვენეობაც და თქვენი მემარცხენეობაც სულ სხვა თვისების ყოფილა და თქვენ ცოდვას, თქვენ აზრს ჩვენ რათ გვახვევ თავზე?....

სიტყვა რომ აღარ გავიგძელდეს, მოგახსენებთ, ერთ ციციას (ციცია ჰქვიან, ვინც მარცხენა ხელსა ხმარობს საქმის გაკეთების დროს.) ნათქვამს:

კარგი რამა ხარ მარცხენა,
ვერ შეგედრება მარჯვენა,
მაგრამ რავქნა რომ უმისოდ
ბევრი არა ხარ არც შენა!...

გთხოვთ კარგად ჩაუკვირდეთ ამ სიტყვებს, ქუდი დასდოთ და სამართალი ისე გადასჭრათ.

რაც შეეხება ჩვენ ტაკტიკას ჩვენი აზრის განსახორციელებლად, ჩვენ ისეთსავე ტაქტიკას ვქადაგებდით იმ თვითვე, რაც ასე რიხითა და ცრემლმორეგბით მხოლოდ ამ ბოლო დროს გამოაქვეყნეს რუსეთის სოციალისტებმა პლეხანოვის მეთაურობათ. და თუ ესენი მემარჯვენეები არიან, იმათთან ერთად ჩვენც ყაბული გვაქვს.

ჩვენ შორის.

VII.

ჩვენი თანამოაზრისა და თანამშრომლის წერილი, რომელიც ჩვენ გაზეთში გუშინ დაიბეჭდა სათაურით „**პროგრამა, თუ მოქმედება**“ ბევრ რამეს გვაგონებს, ბევრ სიმართლეს ლაპარაკობს...

„უბრალო საქმეც ვერ მოგვიწყვიტაო“ ამბობს იგი ერთ ადგილას და ლამის ქვეყანას კი თავ-პირი მოვაჭამოთ, ლამის ერთმანეთი ამოვწყვიტოთ...

მართლაც საკვირველია ჩვენი მდგომარეობა!..

ორი კაცი ერთად ვერ მორიგებულა, ვერ მოთავსებულა, ერთად ვერ უმუშევნია...

აკაკის თქმისა არ იყოს: ერთი ქართველი, ერთი კაცი—გმირია... რაინდობა, თუ ვაჟკაცობა მისი ერვის ჩამოუვარდება, მაგრამ თუ ორი და სამი ქართველი ერთად შეიკრიბა—მაშინათვე მოუვათ

ფერ-ხმელი ქე იყო, ლოყებ დანოჭებული, მაგრამ მალალიამ ამას ყურადღება ადარ მიაქცია და ჯვარი გადაიწერა.

ელენტიას—ეს ქორწილი, როგორც უფროსი ქალისაც, არაფრად მიაჩნდა, რადგან იცოდა, რომ მისი პირველი სიძის, გრიშიკო მწერლის ნაშუშევარს არაფერს ჰქონდა ხეირი და კეთილი ბოლო. იცოდა, რომ გრიშიკოს და ელენკოს დაშორება არავის შეეძლო. ქორწილი მხოლოდ ნათესავების თვალის ასახვევად მოახდინეს, თორემ, მათს სიყვარულს რა გაანელებდა!

ქორწილის დღეს გრიშიკო და ელენკო ერთმანეთს თვალს არ აშორებდენ, ნავახშევს მაყრები აირ-დაირიენ, ზოგი მთვრალი იყო და ზოგი ფხიზელი, აიშალენ სუფრიდან და მიაყოლეს სიმღერა „მეფეი“, ნეფე-დედოფალი სინთიოპბომდი უნდა მიაცილონ—ხმალ-ხანჯლები კარების თავზე გადააჯვარადინეს და ისე გაატარეს ახლად ჯვარდაწერილები.

სანამ სინთიოპბომდე მიაღწევდენ, ერთს ოთახში შევიდენ, იქ სუფრა დახვდათ გაშლილი, პური და ღვინით სავსე. მიუსხდენ სუფრას დედოფალ ნეფიანი, იწყეს აქაც სმა დადრეკობა. მგრმე წამოდგა დედოფალი, და სანთიოპბოსკენ წავიდა. ის მარტო წავიდა. ნეფე ქეიფს შეექცა სუფრაზე.

სანთიოპბოსაკენ მიმავალს დედოფალს ელენკოს ჩვენი ცნობილი გმირი გრიშიკო მწერალიც აედევნა. ელენკოსაც ეს უნდოდა. მოიხედა მან და შეკრა თვალი გრიშიკოს. გულში ცეცხლის ალი აენთო. ეს ერთი დამე იყო, რომ ისინი უერთმანეთოდ უნდა დარჩენილიყვენ, მაგრამ აქაც ეშმაკი შეუჯდათ იმათ ფხრებში.

— მე კი წავალ აწი დასაძინებლად,—

უთხრა ყურში ჩურჩულით გრიშიკომ ელენკოს.

— მერე მე... უთხრა ელენკომ.

— შენ კისერი გიტეხია, კინჩხიც ზედ მიგიტანებია.

უპასუხა გრიშიკომ.

— აბა ერთს გეტყვი: მე რომ სანთიოპბოში შევალ, მერე შენც იქ შამოდი და იქვე შკაფის თავზე მოიკუნტე, წამოწევი, ერთად ვიქეიფოთ, ხომ იცი... სიძე ჯერ ღვინოს სვამს, ხომ ხედავ. მართალაც, ახლად ჯვარ-დაწერილ დედოფალს სანთიოპბოში გრიშიკო მსუნაგი შეყვა...

რამოდენიმე ხნის შემდეგ სიძე წამოდგა და გაეშურა დედოფალთან; სანთიოპბოს კარები დაკეტილი დახვდა. ბევრი არახუნა სიძემ, მაგრამ ხმას არავინ სცემდა. სტუმრებმა სიცილი დაიწყეს: ასე როგორ დაეძინა ჩვენს დედოფალს, რომ ამდენი რახა-რუხი ვერ გაიგონაო.

დარცხვენილი შეფე ცოტა ხნის შემდეგ სტუმრებს გაეპარა, მოუარა სახლს უკანიდან და სანთურის ფანჯარაში შეიხედა. მის თვალებს საზარელი სურათი წარმოუდგა:

მისი ცოლი და გრიშიკო ერთმანეთს ჩაჰკონებოდენ. არავინ იცის როგორ შეამტვრია ფანჯარა მალალიამ. არც ის დაუნახავს ვისმე, თუ როგორ შევარდა გამხეცებული სიძე სანთურში და როგორ ჩასცა გრიშიკოს გულში ხანჯალი... შეიქნა საშინელი წივილ-კივილი. ხალხი აირია, გაოცდა, გაჰკვირდა...

მოიკითხეს ნეფე, მაგრამ მისი ასლ ვალდასავალი ვეღარ გაიგეს.

მალალია ახლაც იმალება და ჯერ კაცს თვალით არ დაუნახავს...

კ. ბ ძ ე ლ ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი აურზაური და უბედურება.

ჩვენ ვიცნობდით ერთ ქართველ ოჯახს, რომლის მამაც მონარქისტი იყო, უფროსი ვაჟი არაჟრისტი, შუათანა ფედერალისტი, უნცროსი—სოციალ-დემოკრატი, უფროსი ქალი—რევოლიუციონერი, ხოლო დედა მათი—ყოველად ფუქსავატი და მარტო „მოდების“ ამყოლი. ის თითქმის მოხუცი—გატეხილი და სახე დაღარული, უკანასკნელ მოდის „შანტეკლერის“ კაბაში რომ გამოეწყობოდა ხოლმე და ქუჩაზე ძლივს მიბობღავდა, სწორეთ სსაციელო და თან საზიზღარი სანახავი იყო!

ჩვენი მტერიც შესულა ასეთ ოჯახში! მთელი თვეობით დედ-მამა და დაძმანი ერთმანეთს ხმას არა სცემდენ, ხოლო თუ გასცემდენ ხოლმე, ისეთი უბედურება ჩამოუვარდებოდათ, რომ კაცს ყურებზე ხელი უნდა დაეფარებინა...

..და დაიდუპა, განადგურდა ეს ოჯახი. მამამ ვერ გაუძლო შვილების უბედურებას,—შვილებმა თავი ვერ გაიტანეს, დედამ „მოდებში“ გადააგო თავის საცხოვრებელი და ოდესლაც დოვლათით სავსე ოჯახი დაამხო, დაპირქვავდა.

სწორეთ ამ ოჯახს მოგვაგონებს ჩვენი —ინტელიგენტების—ყოფნაც!

ყველა იმას ვყვირით: „უნდა ქვეყანას ვუშველოთ, ხალხი... ხალხი... და ხალხო, მაგრამ ამ ხალხის ჯავრი იმდენათა გვაქვს, რამდენათაც ეს ჩვენ პირადობას გამოაჩენს, ჩვენ მოგვეხმარება, ჩვენ მოგვწყობს და გაგვათბობს...

გარდა ამისა არავითარი პატივისცემა, არავითარი დაფასება არა გვაქვს ერთმანეთისა!..

ჩვენში ყველაფერი უკუღმა ხდება! მოწაფე მასწავლებელს ასწავლის ჭკუას, და შვილი—მამას...

—მე სოციალისტი ვარო—გაკვეხის 15—16 წლის ბიჭი, თუმცა იმდენი ესმის სოციალიზმისა, რამდენიც ჩვენ გვესმის ჩინური ენა.

—თქვენ ჩამორჩენილი ხართ... უმაღლესი პოეზიისა არა გესმის რაო—გეკამათება ისეთი ვინმე, ვისაც მარჯვენა მარცხენისაგან ვერ გაურჩევია.

—რას მიქვიან შესწორება... სტილი, მართლ-წერა... მე ჩემებური კილო მაქვს და ჩემებური ენაო... გეჩხუბება ის, ვინც ჯერ ანბანის დაწერაში ვერ გავარჯიშებულა და „ჭარი“, „ჯანისა“ გან ვერ გაურჩევია. და...

წარმოიდგინეთ, რომ ხშირად იძულებული ხდებით ანგარიში გაუწიოთ ამ უვიცებს, მყვირალებს, ახირებულებს, ჯიუტებს, თორემ გაგთათხავს, შეგარცხვენს იშოვნის კომპანიას და თავზე ლაფს გადაგასხავს...

და გიკვირს, და გიოცდება, როდემდის უნდა ვაუკედროდეთ ერთმანეთს „კიკაცობას“ და როდემდის კი უნდა ასე **ვფართხალობდეთ** ერთ ადგილას!..

ცხოვრება ჩვენ არ გვიცდის, ცხოვრება მოითხოვს საქმიანობას, ერთობას, საერთო ძალით შექმნას უკეთესის მომავალისას—და ჩვენ კი, რაც დრო გადის ერთი მეორეს ვშორდებით...

მოდით, ბატონებო, შევაფურთხოთ ეშმაკს, დავივიწყოთ ყოველგვარი „საპირადო“ და ხელი სელ გადაბმულნი შევუდგეთ ხალხის სამსახურს...

ვინც ბევრი იცის გაუზიაროს უმეცარს, ვინც ძლიერია ჩვენში,—მიეშველოს სუსტს, ვისაც ქონება აქვს,—დაეხმაროს საწყალს, ვინც გულმხურვალეა გაეზიაროს გულგრილს. და ასე და ამგვარათ შევქმნათ ხალრთო, საზოგადოებრივი ასპარეზი ფიქრისა, სიტყვისა, საქმისა და მოქმედებისათვის...

დიდი რამ პროგრამა უნდა ადამიანურ საქციელს, კაცად—კაცობას?...

თქვენი არ ვიცი და მე კი მგონია, რომ ბრტყელ-ბრტელ ლაპარაკს სულ მოყვასის სულ მცირე დახმარება—გამხნევება უფრო სჯობია...

მაშ ნაკლები—ფართი ფურთობა და მეტი საქმე, საქმე საძმო და სასარგებლო ეი ჩვენი სადღეისო პროგრამა!...

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პეტროგრადი. 24 ოკტომბერი. არმიისკ. ვესტნ. ქრონიკა. ჩვენმა არტილერიამ მოხერხებული სროლით ცეცხლი წაუკიდა მტრის ტყვია-წამლის საწყობს. ბერესტიანეში მოისმოდა საკმაოთ ძლიერი აფეთქების ხმა. ამავე რაიონში 26 ოკტომბერს ღამით, ჩვენი ჯარის მცირე ნაწილი მიუახლოვდა მოპირდაპირის თხრილებს, სადაც მტერი შეეგება თოფის სროლითა და ხელით სასროლ ყუმბარებით, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენმა მზვერავებმა გაარღვიეს მავთულის ღობე მტრისა და შეუტიეს მას, რის შემდეგაც მტერი გაიფანტა, დასტოვა რა ჩვენს ხელში ტყვეები. ამ ბრძოლის დროს ჩვენს ჯარს არავითარი ზარალი არ მოსვლია. ამავე ღამით სტრიპზე, სოფელ ვინიატ-ტუნცესთან ბრძოლით აიღო ტყე, საფარი პუნკტი ავსტრიელებისა, მიუხედავათ იმისა, რომ მტერმა რამდენჯერმე იერიში მოიტანა ტყის დასაბრუნებლათ, ჩვენ მაინც შევძელით შეგვენარჩუნებია და გადაგვექცია ეს ადგილი თავდასაცავ პუნკტათ. ერთმა ჩვენმა ბატარეიამ კვირცხლი და მიზანშეწონილი ცეცხლით ჩააჩუმა მტრის სუბუქი ბატარეია. ს. მედვეჟეას დასავლეთით, მდ. სტირზე 26 ოკტომბერს. დილით, მტერმა ძლიერი არტილერიის ცეცხლი დაუშინა ჩვენს პოზიციებს და შეეცადა იერიშებზე გადასვლას. კომაროვას სამხრეთით, ტყეში, სანგრებს შუა, რამდენიმეჯერ ხიშტებით ბრძოლა იყო, რასაც შედეგათ მოყვა მტრის უკუქცევა თავის თხრილებისკენ. ჩრდილოეთით 27 ოკტომბერს ჩვენი არტილერია მოხერხებულად და მარჯვეთ მოქმედებდა და ფანტავდა მტერს, რომელიც სიმაგრეებს აგებდა. ტყვეობიდან გამოქცეულმა ჯარის კაცმა როდიონ კირიკაზანის პოლკისამ გადმოგვცა, რომ ის მუშაობდა 170 კაცისაგან შემდგარ კომანდაში ლვოვს იქით ზოლოჩევასთან. ავსტრო-გერმანელებმა ყველა სოფლიდან მოკრიბეს პური, რომელიც, იმის გარდა, რაც მცხოვრებლებს ეყოფოდა წაიღეს. ისინი კვებავენ თავისიანებს და განსაკუთრებით ტყვეებს ძლიერ ცუდათ. ხალხი ხშირათ ავათმყოფობს უშმელობისაგან, სიბინძურისაგან და სიცივისაგანაო.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 29 ოკტომბერი მთავრობის ოფიციალური ცნობა. 27 ოკტომბრის ბრძოლაში მთელს სამჯაკის ფრონტზე მტერმა დიდი ზარალი ნახა. ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 50 ტყვე, 2 ტყვიის მტყორცნელი. 27 ოკტომბერს ღამით ავსტრიელები შეეცადენ მოულოდნელათ თავდასხმას მოახოვთან, მაგრამ იერიში მათი მოგერიებულ იქნა. 27 ოკტომბერს სამჯაკის ფრონტზე საარტილერიო ბრძოლა იყო. რამდენიმე ადგილას მტრის ქვეითა ჯარმა უნაყოფო იერიში მოიტანა. ჩვენ წამოვიყვანეთ ასი ტყვე. საარტილერიო სროლა იყო აგრეთვე ჩვენს ჰერცოგოვინის ფრონტზე. სხვა ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა ავსტრიელების ჰაეროპლანი ჩამოვარდა ჩვენს ბანაკში. მფრინავი აფიცერი და უნტერაფიცერი, ტყვეთ დავვრჩა.

პარიზი. 29 ოკტომბერი. საღამოს ოფიციალური ცნობა, ძლიერი საარტილერიო ბრძოლა იყო ლოოსის სექტორში და აგრეთვე კოლონსკაგოსვრაგის რაიონში ხშელეთით. ბევრ ადგილას ჩვენი მანევრები ბრწყინვალე წარმატებით დასრულდა სომის სანრეთით. ფაის ახლოს აფეთქებით განადგურდა მტრის თხრილი და აფეთქდა სადარაჯო ადგილი. ბებრენთან კომეულ ფენტის აფეთქებით განადგურდა მტრის სანაღმო საწყობი. ნაღმებით დავანგრიეთ მტრის სავლე სიმაგრეები გოტშბოშესიან, აგრეთვე ნაღმებით დაინგრენ გერმანელების თხრილები. ჩვენ დავიკავეთ ყელი. მაასსა და მოზელს შუა ფლიტის ჩრდილოეთით ჩვენმა ყუმბარების მტყორცნელებმა მოხერხებულათ დაუშინეს მტრის პოზიციებს.

ჰავრი. 29 ოკტ. ბელგიის ცნობა. ყუმბარების დაშენა ხანგამოშვებით სწარმოებდა ფრონტის სხვა და სხვა პუნკტზე, კერძოთ, ფერმის მაღლობებზე ვიოლიუსთან, მეზონბურგთან და სენტაკაპელესთან და მის მიდამოებში.

პარიზი. 30 დღის ცნობა. გუშინდელს აქით არსებითი შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

ახალ გაზდა აჭარელი.

თბილისის სადგურის დარბაზში აუარებელ ხალხს შორის შევნიშნეთ ერთი ახალგაზდა ყმაწვილი. მისი სახე დიდ მოწყენილობას გამოხატავდა. ამოდენა ხალხში მის ყურადღებას ვერავინ იქცევდა. თითქოს ძალაუნებურად ხანდისხან თვალს მიმოავლებდა სხვა და სხვა სახის ხალხს და კვლავ თავჩაკიდული ღრმა მწარე ფიქრებში გართულ ფიგურად იქცეოდა.

სადგურზე მისვლისთანავე ყმაწვილმა ჩვენი ყურადღება მიიპყრო, თითქოს ძმამ შეუბრალებელი ბედის ტრიალით ჩამოშორებული ჩაგრული ძმის სახელი იცნოთ.

ეს უთუოდ აჭარელი იქნება, დაეკარგა შარვალზე, სთქვა ჩემმა თანამეგობარმა. ჩვენ მის ახლოს დავდექით. თვალებს არ ვაშორებდით. ახალგაზდამ უფრო დაირცხვინა, ალბად, ცუდ რასმეს მაგონებენო და ცოტა კრძალვის სახის გამომეტყველებით ისევ განზე მიიხედა.

„თქვენ სადაური ხართ? შეეკითხა ჩემი თანამგზავრი.

რისთვის გკითხავთ, ბატონო? კარგა ხნის ლუმილ-განცვიფრების შემდეგ, გვიპასუხა.

ასე გვეკითხებოდენ ყველგან და რამ დენი დავიდარაბა გაგვაწევეს, ვინ იცის?

ჩვენ ავუხსენით ახალგაზდა თანამოძმეს თუ ვინ ვიყავით, მას ძლიერ გაეხარდა, გათამამდა და დაიწყო თავის ცხოვრებათავგადასავალის მოყოლა.

მამა ჩემი თვითონ თავის ახლობელმა მეზობლებმა მთიდან გადმოიხვეს, სახლი დაგვიწვეს, ავადმყოფი დედა მაღალ კლდეში გავიტანეთ თავ შესაფერად და იქ მოკვდა. ჩვენ, როგორც იყო, გურიაში გადმოვედით (გულისხმობს თავის პატარა დას), საწყალი ჩემი მარიკო გაცივდა გზაზე და გადაიცვალა, მე ობლად-უნუგეშოდ დარჩენილმა ახლა აქეთ წამოვედი ალაგის საძოვნელად: ჩვენი მეზობელი კიდე ახლა ბათომში გაესამართლეს, საწყალი, იმის არვის სამტროთ არაფერი არ ჩაუდენია, უბედურ ხალხს იგი ყოველთვის ხელს უწვდიდა, მარა მაინც არ დეინდვეს, რა ვქნათ ჩვენს თავზე მევიდა ყველაფერი რისხვა, ორივე ხეირიდან თავში გვირტყავენ.

თქვენ მაინც მოგვეხედეთ ნასწავლო „თავისუფალო“ ქართველებო, ჩვენს დაქცეულ ქვეყანას თუ ეშველა აწი ხელ ახლათ მოშენება თქვენ იცით. ჩვენი ჩაგრული მოძმე დავიმედეთ, ქართული გაზეთი გადაეეცით, უსაზღვროდ გეხარდა, სთქვა: თუ იქ რამე ადგილი ვიშოვე ქართული გაზეთი უნდა გამოვიწერო და ქართული წიგნებიც ვიშოვნო, რომ არც მე ჩამოვრჩე ჩემ სამშობლოს მეორე კუთხის ქართველებს. ამ სიტყვებს იგი ისეთის გრძნობით და იმედებით ამბობდა, რომ ყოველ ქართველს უთუოდ გულს აუძგერებდა და მრავალ ტანჯულ ძმისადმი სიბრალულს მოგვრიდა.

ამ დროს მატარებელიც დაიძრა, მეტი ხანი აღარ იყო, ჩვენც გამოვემშვიდობეთ ჩვენს ღვაძლ ძმა აჭარელს იმ პირობით, რომ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს ძმურის გულით.

ი. ჯიხაიშელი.

პროვინციის ცხოვრება.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

გურჯაანი (ქიზიყი). გურჯაანი ახლო მომავალში შეიძლება ქალაქათაც გადაიქცეს, რადგანაც უდიდესი სადგური გასაყარი რკინის გზისა ამ სოფელში მოექცა. აქვე არის განთქმული სამკურნალო ტალახი ახტალა. ხალხი აქაური, რომელიც საკმაოთ შეძლებულია, მისდევს როგორც მევენახობას, მეურნეობას, ისე ვაჭრობასაც. გურჯაანს აქვს თავისი ბანკიც, რომელიც დღითიდღე იზრდება და ავითარებს თავის ოპერაციებს. ამისთანა გულშემატკივრობის გამოჩენით ამ სოფელს დიდი მომავალი მოელის.

——

კახეთი. შიმშილობამ და ომისგან გამოწვეულმა უბედურებამ აქაური გლეხობაც გამოაფხიზლა.

18 ოქტომბერს შესდგება საზოგადოკრება ველისციხის, ჩუმლაყის, ახალშენისა და მუკუზანის მომხმარებელ ამხანაგობათა. გადასწყვიტეს, რაც შეიძლება მალე, გახსნან სავაჭრო დუქანი. ამხანაგობაში 200 მეტი წევრია ჩაწერილი და დღითიდღე ემატება. სავაჭრო თანხა ჯერჯერობით ასი თუმანი აქვთ.

25 ოქტომბერს ველისციხეში აკურთხეს აკაკის სახელობის სამკითხველო.

——

სალხინო (სენაკის მაზრა). გაიმართა ჩვეულებრივი ბაზრობა ეკენისთვის პირველ რიცხვებში. ხალხი ბაზრობას ბლომათ დაესწრო.

აქაურმა ვაჭრებმა სანოვაგე ძალზე გააძვირეს, მაგალ., შაქარი ღირს 6 შ.—7 შაურამდი გირვანქა; ნავთი—3 შაური; პური—7-8 კაპიკი. ეს ფასი აქაურ ვაჭრებისგან არის აწეული, თორემ ნაოლიდევში, რომელიც 12-13 ვერსითაა დაშორებული, სანოვაგე, შედარებით, იაფად იყიდება.

ჩვენ ინ არსებობს წიგნსაცავ-სამკითხველო. ვაჭრებსა და ნოქრებს სამკითხველოში შესვლა სამარცხვინოთ მიაჩნიათ.

ანგარიში.

ქუთაისის დარაბ ბავშთა დამხმარებელი საზოგადოების გამგეობა უმორჩილესათ სთხოვს გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციას დაბეჭდოს უახლოეს ნომერში შემდეგი ანგარიში ამ წლის სეირნობისა, სსენებული საზოგადოების სასარგებლოთ 17 მაისს გამართულისა ქალაქის ბაღში:

შემოსავალი: შესასვლელი ბილეთებიდან შემოვიდა: 211 მ. და 90 კაპ. ამავე დროს ჭერძო შემოწირულია 32 და 97 კაპ. ჩაისა 195 მ. და 54 კაპ. კიეიდა ეკვეილები, ტკბილეულობა, ბოჩტა და სხ. 130 მ. და 56 კაპ. სხვა და სხვა სათამაშოები 77 მ. და 21 კაპ. საბავშო ეტლით სეირნობისა: 18 და 55 კ. ვახშმისა—88 მ. ლოტერია-ლეტერისა 500 მ. ფულათ შემოსწირეს 105 მ. სულ იყო 1359 მ. და 73 კაპ.

გასავალი: სტამბას ათიშვილის და წერილებან დასაბეჭდათ მათი გასაგერელი და დასარიგებელი 16 მ. და 39 კაპ. შესასვლელი ბილეთების წიგნაკი 3 მ. ბაღის განათებას 60 მ. და 50 კაპ. მუსიკის 30 მ. მუშების 13 მ. დურგალს 8 მ. ჩიდინგარეთის საკონდიტეროს 18 მ. და 90 კაპ. შუშხუნები, სათამაშოები, კონფეტები და სხ 31 მ. ბურჯღის ქირა 17 მ. და 70 კაპ. ბუფეტის გასამართათ 34 მ. და 85 კაპ. წერილებისთვის კონვერტები 2 მ და 50 კაპ. სხვადასხვა 2 მ ლოტერიაში ჩასაგდები სამოვრის 15 მ. რგოლები ლატარიის ბილეთების 4 მ. და 38 კაპ. ბაღის სუფრასაფარი, ელექტრონის და სხ. წვრილმანის 37 მ. და 5 კაპ. ბატენტი 8 მ. და 50 კ. ბილეთებზე დასაკრავი მარკების 28 მ და 84 კაპ. ბაღის მტვერის და ხელზე მოსასმასხურეთ 8 მანეთი, წვრილმანი ხარჯები 14 მანეთი სულ გასავალი იყო 353 და 61 კოპ. დარჩ. 1006 მან. და 12 კოპ. აქედან ომის სასარგებლოთ გადაიდო 10 % 100 მ. 62 კოპ. დარჩა გამგეობის კასაში: 905 მ 50 კოპ. ფულათ შემოწირულია ნ. ე. დადუშიანისგან 25 მ. ი. ლ. ქოჩანოვსკისგან 10 მან. ნ. ბ. ფედოროვისგან 10 მ., ს. ფ. კოჩოჩეფისგან 5 მ. ჯ. ი. გრიგორიანცისგან 5 მ. ს. და მ. ბ. ესუმოვებისგან 5 მ. ვ. კ. ადაბაბაისგან 5 მ. ბ. ი. გოკოელოვისგან 8 მან. კ. ა. ს. თუმანოვისგან 3 მ. კ. ა. მელნიკოვისგან 3 მ. ნ. მ. ჯანელიძისგან 3 მ. ი. ადიბეგოვისგან 3 მ. ს. ე. ტერტეროვისგან 3 მ. კ. მ. დოროთქეფანიძისგან 2. ვ. ვ. ვასილეკისგან 2 მ. ქალ. ჩაჩიბაისგან 2. მ. ა. შოთაძეისგან 2 მ. ქალ. ბაბიბაისგან 2. მ. ა. შოთაძეისგან 2 მ. ს. ა. გურეგიზისგან 1 მ. ი. კაკიტელაშვილისგან 1 მ. ბ. ბ. ბებისგან 1 მ. ნ. ა. ბერეტელიანისგან 1 მ. ბ. ბ. ბ